საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/123 " 30 " ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნისთვის სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის დანიშვნაზე თანხმობის მიღების თაობაზე. საბჭოს მდივანმა აღნიშნა, რომ თანამდებობა ვაკანტურია 2021 წლის 16 ივნისიდან და ამ თანამდებობაზე დასანიშნად მის მიერ წარდგენილ იქნა ილია დევიძის კანდიდატურა. დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის მიზნით წარდგენილ იქნა კანდიდატის ბიოგრაფია. ილია დევიძეს აქვს საერთო სასამართლოების სისტემაში მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება. იგი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს საერთო განყოფილების სამეურნეო სამსახურის უფროსი, ხოლო ამჟამად არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი. საბჭოს მდივანმა დაახასიათა კანდიდატი როგორც პატიოსანი და დიდი პასუხისმგებლობის მქონე მოხელე. ამასთან, ილია დევიძემ მისი მომავალი საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე უპასუხა საბჭოს წევრთა მიერ დასმულ შეკითხებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს მიეცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ილია დევიძის დანიშვნის თაობაზე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი